



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 29

2016 წლის 4 აპრილი

ხაშური



**„ხაშურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ“
ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის
დამტკიცების თაობაზე**

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის საფუძველზე მუნიციპალიტეტის გამგეობა მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარუდგენს 2015 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს დასამტკიცებლად

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ.ბ“ ქვეპუნქტის, და საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 88-ე მუხლის შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ წარმოდგენილი ანგარიში – ხაშურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ .N1, N2, N3, N4, N5, N6, N7, N8, N9 დანართების შესაბამისად. /ელექტრო ვერსია თან ერთვის/
2. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ხაშური, კოსტავას ქ. N 15) ერთი თვის განმავლობაში.

საკრებულოს თავმჯდომარე



ვაჟა შუბითიძე